წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. სამშაბათი, 28 ივლისი 1915 წ. № 55

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 67.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ღირება 5 მანეთი.

„საქართველოს" კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო" 1 ივლისიდან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 50 კ., 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ.

მოვაგონებთ „კლდის" იმ ხელის მომწერთ, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო" გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლისამდე.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело", Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

მეუღლე ელისაბედი მზეხა, შვილებით, ლეო, თამარ, ძმა მღვდელი ლუკა, დები ქიფო, ბაბილინა, რძლები ნატალია, ანტონინა, სალომე, შვილიშვილები შუშანიკა, ნინა, დარეჯანა, არჩილი, სიძეები ნესტორ ემაძე, ვარლამ იმნაძე, მასიკო არობელიძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა

ვასილი სოფრომის ძე ხუნდაძე

დაკრძალვა მოხდება 28 ივლისს, ოზურგეთში, ეკადიის ეკლესიის სასაფლაოზე.

„ხარფუხის კლუბი"

პროგრამა 28—2 აგვისტომდე

საზაფხულო სადგომი, მიხეილის პროსპექტი, № 131.

სამშაბათს 28 ივლისს **სინემატოგრაფი** ბაღში დაუკრავს **სამხედრო ორკესტრი.**

ოთხშაბათს 29 ივლისს **ქართული წარმოდგენა** „ციმბირელი", ბაღში სამხედრო ორკესტრი.

ხუთშაბათს 30 ივლისს **საბავშვო საღამო,** სეირნობა, გასართობები, სინემატოგრაფი და სამხედრო მუსიკა. 9 საათის შემდეგ სიმებიანი ორკესტრი.

პარასკევს—სინემატოგრაფი—ბაღში დაუკრავს **საზანდარი.**

შაბათს—ქართულ-რუსული კონცერტი ბაღში სამხედრო ორკესტრი დაუკრავს.

კვირას—მანდოლინისტების ხორო.

სინემატოგრაფის დასაწყისი საღამოს 8½ ს., წარმოდგენების და კონცერტების—9 ს. საბავშო საღამოები—5—9 საათამდე—სტუმრები იხდიან ჩვეულებრივ ფასს.

იმ საშინელ ცეცხლის გამო, რომელმაც იმსხვერპლა ქართული თეატრი და თავად-აზნაურობის სხვა შენობები, დროებით დაკეტილი

„კაფე პარიზი"

გაიხსნა წინანდელ შენობაში, სასახლის ქ., თ.-აზნ. ქარვასლაში,

იგი გამშვენიერებული და გალამაზებულია სატახტო ქალაქების პირველ-ხარისხოვან სასადილო-რესტორანების სტილით.

ყოველ დღე გვაქვს ევროპული და ჩვენებური საჭმელები, რომლებიც ნამდვილ კარაქზე მზადდება გამოცდილ კულინარის ხელმძღვანელობით. სასადილო-რესტორანს აქვს მყუდრო ბაღი, სანარდე და საბილიარდო განყოფილება 4 ბილიარდით და 10 ნარდით. სხვა და სხვა ხილეულობის წყალი, ნაყინი, ღომი, საცივი და ყოველგვარი იმერული საჭმელები. **თვიურ მოსადილეთ დიდი შეღავათი.**

პატივისცემით **დ. გიგიბერია.**

პირველხარისხოვანი

სასადილო

„კაფე ბორდო"

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

ყავა, ყოველგვარი **ცხელ-ცხელი საუზმე** დილის 9 საათიდან 12 საათამდე. **სადილი** 1—6 საათამდე. **სადილი** 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენებური საჭმელები: ხარჩო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჟკები". თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პატივისცემით **რაჟდენ იოსელიანი.**

ქ. გორში

ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტთა კორპუსის აგარაკში.

გადაწერას საწერ მანქანის

საშვალებით და საწერ მანქანაზე

მუშაობის სწავლებას

ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს

ი. თ. გვათუას კანტორა

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17—05

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

თბილისი, 28 ივლისი.

ეროვნებათა უფლებანი და სათათბირო.

„ჩვენ გამოვედით პატარა ერთა დასაცავად დიდ სახელმწიფო ერთა ძალმომრეობისაგან", წარმოსთქვა ინგლისის მთავრობის წარმომადგენელმა ომის დაწყებისას! „მოგვაქვს თავისუფლება პოლონეთისა და ავსტრიის მოსახლე ერებისათვის", ბანი უთხრა უმაღლესმა მთავარსარდალმა სრულიად რუსეთის მხედრობისამ. პატარა ერების ბედის გამგებელნი,

შეჩოჩქოლდნენ და ამ ახალს ლეიტმოტივს სიხარულით შეეგებნენ, მის დასაცავად ძალთა თვისთა არ დაზოგავდნენ, მაგრამ განვლო წელიწადმა უსაშინელესი ომისამ

სახელმწიფო სათათბიროში, საცა ისმიან ხმანი მთავრობისა და ერისა, ნათქვამი იყო გორემიკინისაგან, რომელიც დღეს ოფიციალ რუსეთის წარმომადგენელია; „ჩვენ ვაძლევთ **ომის შემდეგ ავტონომიას პოლონეთს და თვით-განწყობილება უნდა გვქონდეს სხვა ერებთან, რომელნიც უერთგულებენ რუსებს".**

სახელმწიფო სათათბიროს „ხალხის" წარმომადგენელთ უარჰყვეს ის შესწორება, რომელიც შეიტანა ეროვნულმა ჯგუფმა მორიგ საკითხებზედ გადასავალ ფორმულაში. უარჰყვეს ისეთი უბრალო რამ, რაც გააკვირვებს ქვეყანას თავისი წინააღმდეგობით მოკავშირეთა საბრძოლველ უმაღლეს იდეასთან; მოკავშირენი: ვიბრძვით პატარა ერთა თავისუფლებისათვისაო და სახელმწიფო სათათბირო კი **უარჰყოფს „უფლებრივ და ადმინისტრატიულ გათანასწორებას რუსების მოსახლე ერებისას".** უარჰყოფს საღს და გონიერ პოლიტიკას, რომ კვლავ დასტოვოს ადგილი ყოველგვარ „სურვილების" და „გუნების" ასპარეზობისათვის. უარჰყოფს თანასწორობას ერებისას, თანასწორობას კანონის წინაშე მოქალაქეებისას და ამით თვისი ავტორიტეტით ადასტურებს იმას, რაც აქამდის მხოლოდ „ადმინისტრატიულ თვითნებობას" წარმოადგენდა.

ომის დღიური

მიმოხილვა

უკან დაწევა, დროზე ბრძოლის ველის მიტოვება და უვნებლად, ან მცირე ზარალით სამშვიდობოს გამოსვლა ერთ უძნელეს და ურთულეს ოპერაციად ითვლება.

ამ ჟამად რიგიდან მოყოლებული დნესტრამდე ასეთი რთული და ძნელი ოპერაცია ხდება ბრძოლიდან გამოსვლისა, სახიფათო რკალიდან გამოსხლეტისა. მოპირდაპირე მთელი თავის ძალღონით სცდილობს რუსის ჯარი ამ რკალიდან არ გამოუშვას, ამ რკალის ორივე ან ერთი წვერი მოღუნოს (ვილნო-კოვნოს მხრივ), ან უფრო ახლო გაარღვიოს ეს რკალი და უკან მომავალს უყელოს, გზა მოუჭრას და გამოსასვლელი კარი მიუკეტოს.

ამ ორ დღეში რიგა-კოვნოს პირზე შესამჩნევი არაფერი მომხდარა. გერმანელები მეორედ უკუგდებულ იქმნენ რიგის მიდამოებიდან. პონევეჟის რაიონში ცხარე ბრძოლის ბედი ჯერაც არ გამორკვეულა. კოვნოდან მოყოლებული ლომჟამდე გერმანელები მრავალგან ეკვეთნენ რუსის ჯარს და ცდილობდნენ სადმე ბრძოლის პირის გარღვევას, რათა სამხრეთით დაეშვნენ და სადმე უყელონ რუსის ჯარს, მაგრამ ცდამ უნაყოფოდ ჩაუარათ. 24 ივლისს გერმანელებმა იერიში მიიტანეს კოვნოსა და ოსოვეცის მოწინავე პოზიციებზე, ოსოვეცთან შხამიანი ბოლი იხმარეს და სოსნისთან სიმაგრეებიც აიღეს, მაგრამ ბოლოს ისევ უკუგდებულ იქმნენ. ფრიად მნიშვნელოვანი და მეტად მედგარი ბრძოლები ხდება ლომჟისა და ოსტროვის მიმართულებით. ოსტროვი მდებარეობს ლომჟის სამხრეთ-დასავლეთით 40 ვერსზე და პულტუსკის აღმოსავლეთით 50 ვერსზე; აქ თავს იყრის 2 რკინისგზა და 7 გზატკეცილი. უფრო საგულისხმო ის არის, რომ ოსტროვიდან მხოლოდ 15 ვერსია მალკინამდე, რომელიც მდებარეობს ბუგის ნაპირზე, ვარშავა-ბელოსტოკის რკინისგზაზე. ცხადია რომ გერმანელებს სჰურთ ოსტროვის აღებით ვარშავის მიდამოებიდან მომავალ რუსის ჯარს მალკინთან უყელონ, ამიტომ არის რომ რუსის ჯარი ოსტროვს თავგამოდებით იცავს და ადვილად მას მოპირდაპირეს არ დაუთმობს.

24 ივლისს რუსის ჯარი ზოგან ჯერ ისევ ვისლაზე იდგა და გერმანელებს ხიდების გაკეთების ნებას არ აძლევდა. ვისლისა და ბუგის შუა ფელდმარშალის მაკენზენის ჯარი მეტად მედგარ ბრძოლებით და დიდი ზარალით ნელ-ნელა მოიწევს ბრესტისკენ.

მ. ბ—ლი.

დეპეშები

თბილისი, 25 ივლ. კავკასიის ჯარის **შტაბისაგან—23 ივლისს ზღვის პირა რაიონში თოფ-ზარბაზნების სროლაა. ოლთისის მიმართულებით ჩვენ მოვიგერიეთ ოსმალთა კონტრ-იერიშები და შევინარჩუნეთ მათი პოზიციები. სარაყამიშის მიმართულებით ჩვენთვის ხელსაყრელი ბრძოლა სწარმოებს. მერგემარის უღელტეხილის რაიონში შეტაკებები ხშირდება. ალაშკერთის მიმართულებით ბრძოლა ჩვენ სასარგებლოდ ვითარდება; ხელთ ვიგდეთ ოსმალთა მნიშვნელოვანი პოზიცია. ბევრი ოსმალო დავხოცეთ, უფრო მეტი ტყვედ წამოვიყვანეთ და ხელთ ვიგდეთ ტყვიის მფრქვეველები და ზარბაზნები.**

პეტროგრადი, 25 ივლისი. ოფიციალი. დვინისა და ნემანის შუა ბრძოლა გრძელდება, თუმცა არსებითი ცვლილება არ მომხდარა. კოვნოსთან გერმანელებს ციხის მოწინავე პოზიციებზე მიაქვთ იერიში. ნემანის მარცხენა ნაპირზე რუსის მძიმე ბატარეია მარჯვედ იბრძვის. 24 ივლისს ოსოვეცთან განთიადისას გერმანელებმა ძლიერი საარტილერიო სროლა ასტეხეს და შხამიან გაზების ღრუბლები გამოუშვეს, შემდეგ იერიშით გამოექანენ, აიღეს რამდენიმე სიმაგრე სოსნასთან, მაგრამ რუსთა კონტრიერიშებით უკუქცეულ იქმნენ. ნარევზე მკაცრი ბრძოლაა. ოსტროვისკენ მიმავალ გზით 24 ივლისს გერმანელებმა რაოდენადმე წინ წაიწიეს და მალე გააფართოვეს დაჭერილი ადგილები. სეროცკეს რაიონში საღამოთი რუსებმა მარჯვედ მოიგერიეს გერმანელთა მკაცრი იერიშები. ვისლაზე სროლაა. რუსის მძიმე არტილერია 24 ივლისს მარჯვედ ხელს უშლიდა გერმანელებს ვისლაზე ხიდების გადაკიდვაში. ვისლასა და ბუგის შუა მეტად მკაცრი ბრძოლაა კუროვა-კოცკთან და ვეპრჟის მარჯვენა ნაპირის რაიონში, ლენჩინის ჩრდილოეთით. ბუგზე, ზოლოტოი ლიპაზე და დნესტრზე ცვლილება არ მომხდარა.

პეტროგრადი, 26 ივლისი. ოფიციალი. რიგის მიმართულებით რუსებმა განდევნეს გერმანელები დვინისა, მდ. ეკუასა და აას ბოლო შესართავთან. პონევეჟს აღმოსავლეთით ბრძოლა წინანდებურად გრძელდება, ასე რომ არსებითი ცვლილება არ მომხდარა. კოვნოზე და ოსოვეცზე 24 ივლისიდან გერმანელთ აღარ გაუმეორებიათ იერიშები. მდ. ნარევიდან დაწყებული გერმანელებმა მთელს ფრონტზე შემოუტიეს. უმთავრესად დიდძალი ძალებით მიაწყდნენ ლომჟა—ოსტროვზე. ვისლის შუა ნაწილზე 25 ივლისმა შედარებით მშვიდობიანად ჩაიარა. ვეპრჟის მარცხენა ნაპირზე სასტიკი საარიერგარდო ბრძოლაა. კონტრიერიშების დროს რუსებმა რამდენიმე ასი ტყვე წამოიყვანეს. ვეპრჟისა და ბუგის შუა არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ბუგის მარცხენა ნაპირზე, მდინ. ტურია და ლუმის შუა, რუსებმა მარჯვედ მოიგერიეს გერმანელთა მოწინავე რაზმების იერიში. ზემო ბუგზე, ზოლოტოი ლიპაზე და დნესტრზე ადგილ-ადგილ იშვიათი საარტილერიო ბრძოლაა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

„დენის" კორესპონდენტს ანკეტა მოუხდენია რუსეთის წარჩინებულ პირთა შორის ეროვნულ საკითხის შესახებ. ნამინისტრალ ტიმირიაზოვს უთქვამს: ომმა მმართველ წრეებს დაანახა ჩვენი ეროვნული პოლიტიკის უვარგისობა. ფინლიანდია საიმედო ბუფერი გახდა. პოლონელებმა და ებრაელებმა ომის მთელი სიმწვავე უსაყვედუროდ გადაიტანეს. სწორედ ამისთვის ჩვენ მთავრობისაგან ეხლა მაინც უნდა მოველოდეთ თავის შეცდომის გასწორებას ამ საკითხში. თუმცა, უნდა შევნიშნო, რომ ჩემი ეტიური მსოფლმხედველობა ვერ შეურიგდება იმ მოვლენას, რომ ებრაელთ უფლება მიენიჭოს მხოლოდ ამ განსაკუთრებულ გარემოების ზედგავლენით. არა, ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა როგორც არის რამოდენიმე მილიონ ხალხისთვის მოქალაქის უფლების მინიჭება, კულტურულ სახელმწიფომ სხვა პრინციპებით უნდა გადაწყვიტოს ე. ი. აუცილებლობის რწმენის პრინციპით. ამით ჩვენ მხოლოდ გავძლიერდებით".

სახელმწიფო საბჭოს წევრს კობე-

ლინსკს უთქვამს: „ეროვნულ საკითხის რეფორმა რამდენიმე რიგად უნდა დაიყოს, მაგალითად, ფინლიანდიის და პოლონეთის საკითხი უნდა გადაიდვას, რადგანაც პოლონეთი დღეს-დღეობით გაყოფილია ჩვენსა და გერმანელთა შორის. მას ეხლა რეფორმებისთვის არა ცხელა, ფინლიანდიასაც შეუძლია მოიცადოს. ებრაელთა საკითხი კი ისე რთულია, რომ მისი ერთბაშათ გადაწყვეტა, ერთ სესიაში და ისეც მოკლე ვადიან სესიაში, ყოვლად შეუძლებელია. მაგრამ მე არ ვეწინაალმდეგები დაუყონებლივ გაყვანილ იქმნეს რამდენიმე რეფორმა, რომელიც გააუქმებს ებრაელთა უფლებების ზედმეტი შეზღუდვასო“.

ორმოცდაერთი კორპუსი.

როგორც რუსეთის მოკავშირე სახელმწიფოთა გაზეთები იტყობინება, რუსეთის წინაალმდეგ გერმანელთა ორმოცდაერთი კორპუსი მოქმედებსო: შვიდი ბალტიის მხარეს, 14 ბუგასა და ვისლაზე, 7 ორეიცის რაიონში, 5 ნემანზე და 8 ბუგასა და დნესტრზე. გერმანელების ჯარის უპირატესობა მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ სასროლი მასალა მეტი აქვთ. როცა რუსეთი სასროლ მასალის საკითხს მოაგვარებს, საქმის გარემოება დაუყოვნებლად და აუცილებლად რუსეთის სასარგებლოდ დაგვირგვინდებაო.

— —

მისუნის გზით დაახლოვებით სამოცი ათასი სომეხი მორბის. უკანასკნელ დღეს გამოქცეულ სომეხთა რიცხვი 150.000-მდე ასულა. საცოდაობაა მათი ნახვა. გზა და გზა იგდირთან დახმარებას უჩენენ, მაგრამ ეს დახმარება არ ჰყოფნის.

რკინის ბეჭედი.

როგორც ბუდაპეშტიდავ იუწყებიან, უნგრელმა ქალებმა კაიზერ ვილჰელმს რკინის ბეჭედი მიართვეს ნიშნად მადლობისა, რომ მან უნგრეთის მამული დაიცვაო.

ხოლერა.

უნგრეთში ამ ბოლო დროს 360 სული ხოლერით ავად გამხდარა 178 გარდაცვლილა.

— —

17 ოქტომბრის კავშირში ან. გუჩკოვმა შემდეგი მოხსენება წარადგინა. არასოდეს არა ყოფილა მდგომარეობა ისეთ მძიმე—ამბობს გუჩკოვი როგორც ეხლა გერმანელები რიგაზედ მოდიან. მტერი [illegible] საჭიროა ყველა ინტერესების დავიწყება, გარდა მტრის განდევნისა. ჯერ კიდევ დაგვიანებული არ არის. რუსის საზოგადოება ვალდებულია დაიხსომოს ის პირნი, ვისაც რუსეთის მოუმზადებლობაში ბრალი სდევს. ამ გვარ პირებში გუჩკოვი ასახელებს ყოფილ სამხედრო მინისტრს, იმის თანაშემწეს და რაოდენიმე მაღალ მოხელეებს. გუჩკოვმა მრავალი მაგალითი მოიყვანა, სადაც ნათლად მოსჩანს დაუდევრობა, და წინდაუხედულობა. თვით გუჩკოვმა უარჰყო ხმები იმის შესახებ ვითომც იგი დანიშნული იყო ჯარის გამომკვებ გამგეობის უმფროსად.

გერმანია და რუმინია.

„ლოკალ ანციაგერი“ აღნიშნავს რომ რადგანაც სამთა შეთანხმებამ გადასწყვიტა ომი ბოლომდე მიიყვანოს, ამისათვის გერმანიამ უნდა გამოიჩინოს მთელი თავისი სიძლიერე მტრის დასამარცხებლად. შემდეგ გაზეთი ჰკიცხავს რუმინიას და სწერს: მეფე კარლოსის სიკვდილით რუმინიამ დაჰკარგა საუკეთესო სახელმწიფო მოღვაწე. გერმანია არ ჰკისრულობს რუმინიისთვის მრჩეველის როლს—რუმინიას არ უნდა დაავიწყდეს, რომ რაც უფრო მეტ წინაალმდეგობას გაუწევს ის საომარ მასალის გაზიდვას ოსმალეთში, მით უფრო შეუძლებელი იქნება გერმანიამ რუმინისადმი მორიგება.

შემდეგ გაზეთი უპირდაპირებს რუმინიის გაუბედაობას ბულგარეთის შორსმჭვრეტელობას და დასძენს—ბულგარეთი მომავალში განახორციელებს თავის დიდიხნის ზრახვას, რადგანაც ავსტრია და გერმანია მხარს დაუჭერენ მასო.

გერმანელების მადა.

დანიურ გაზეთი „პოლიტიკენ-“ში მოყვანილია ბაასი ერთ დანიელ კორესპონდენტისა გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრი იაგოვთან. გერმანელ დიპლომატს უთქვამს: გერმანიას სურს ზავი. მისი გამარჯვებას ნებას აძლევს ეს საყოველთაოდ განაცხადოს. ჩვენი პირობები შემდეგია: ბელგიას უბრუნდება დამოუკიდებულობა, მაგრამ გერმანიის ჯარი ამ ქვეყანაში 30 წლიწადს დარჩება. ავსტრია აფართოვებს თავის ტერიტორიას, იტალიიდან ღებულობს ვენეციას და რუსეთიდან ვოლინს. გერმანიის საზღვარი აღმოსავლეთით დაიწყება რიგა-ვილნა და ვარშავიდან. საფრანგეთიდან გერმანია მიიღებს სამრეწველო მხარეს იურას. ინგლისის გამარჯვებულთ კონტრბუციას მისცემს, გერმანიას უბრუნებს თავის კოლონიებს და ამცირებს ფლოტს. ოსმალეთს უკან დაებრუნება ტრიპოლი, კორენიაკა და არქიპელაგის კუნძულები.

— —

გარეშე საქმეთა იინისტრმა განაცხადა, მოუხერხებელი და სამძიმოა ამ ჟამად წამოყენებულ იქმნას ეროვნული საკითხი და განსაკუთრებით საკითხი ებრაელებისაო.

ბატონი ჩალხუშიანი „მარილი“ ფიგურაა. იმ მესვეურთა წრის ღირსეული წარმომადგენელია, რომელსაც განგებამ სიუხვით გაუზომა ტალანტი რომ ხერხითა და ოსტატობით გამოეტარებინა აყრილი ერი თვისი „გზითა ულალითა და უვალითა“ უცხო ქვეყანად. მაღალი მოწოდება და ზეური მისია ესე გულს უდვია სასოებით და ახალი აღთქმის მოსე ხალხითა მრავლითა შემდგარა, სადაც უძრავად ცას მიჰქვავებია თანანავალი ვარსკვლავი, შარა გზის მანათობელი.

ამიერიდან ქებით და მოწიწებით მოგვიხსენებია ჩალხუშიანის ღვაწლი და თავგამოდება მშობელი ერის წინაშე. სავალალოდ, ერთი ბნელი რამ ჩაწნულა მის ნათელ შარავანდედში: გასაგები გულზვიადობა, „გონების სივრცით“ შეზავებული, სიფიცხის მოწმობით აღჭურვილა თავისიანთა სახელოსნო კლუბში

უფალო და მეუფეო შენ გვიხსენ მიწის რღვევისა და ცისა სკდომისაგან!...

ბატონ ჩალხუშიანის პირისახეს მარტო გუშინ როდი მიჰკარებია სამართებელი. ჯერ კიდევ ოთხმოციან წლებში რუსეთად მოუსმენია „მაქსიმე კოვალევსკის მაღალ ღირსებიანი ლექციები“.

იგი მხცოვანი პირია: ერთი საუკუნის კაი მესამედია, რაც ჩალხუშიანი სულით და გულით ემსახურება სომხურ პრესას. თავისი ერის საჭიროებასა და მისწრაფებაში დიახაც რომ ჩახედულია, დიახაც რომ თავის ერის სულის მოსაიდუმლეა. იცნობს სომხის ხალხის რეალ ძალას და იცის რა დროს საითკენ უნდა მიიდრიკოს მისი ეროვნული პოლიტიკა. მის ხმას გავლენა აქვს, მის სიტყვას უჯერებენ...

ჩალხუშიანი ძველი ჟურნალისტია.

ეს იმას ნიშნავს, რომ მისი კალმის უმანკოების პირველი სიფიცხე მორეგვილია, რომ სოფელს, „დაუნდობელსა და ცუდ მომღერალს“ მისთვის გველის სიბრძნე შეუმატნია და სათქმელი ხშირად გულში ჩაუხშვია, რომ გამოცდილებას ჭაბუკურ სიჭარბისა და უსაგნოდ თქმისთვის იგი გადაუჩვევია.

და დღეს რომ დღეა, ჩალხუშიანი, წელთა სიმრავლით, თუ ხელობის მოვალეობით სიბრძნეში გამოწრთობილი, დიდი ვინმეა.

ამ გარემოებას ფასი აქვს დიდი და ჩვენც შეგნებულად ჩავურთეთ ჩალხუშიანის დახასიათება.

სხვაა, როდესაც ჭაბუკი და სხვაა როდესაც ცხოვრების ალში მრავალჯერ გადახალისებული კაცი დაირღვევს სულის სიმშვიდეს, მაღლიდან გადმოდგება საპაექროთ და შენსავე სახლში თავშეუკავებელის მღელვარებით საყვირს დასცემს, რაო და პეტროგრადში მაქსიმე კოვალევსკის გავაგონოო: „.... მოგვეშველეთ, **ვიდრე სომხებს ჯერ კიდევ არ დარღვევიათ სულის სიმშვიდე და წონასწორობა, ვიდრე სომხობა ჯერ კიდევ მოთვალთვალის როლშია, პასიურს ყოფაშია, ბრალდებულის მდგომარეობაშია,** (კურსივი ჩვენია), ვიდრე ურთიერთობა (იგულისხმე სომეხ-თათარ-ქართველთა) საბოლოოდ არ მოშხამულა, ვიდრე ხომალდნი სულ ერთიანად ჯერ კიდევ ცეცხლს არ შთაუნთქავს და ვიდრე ჯერ კიდევ მოიძებნება სომხებსა, ქართველებსა და თათრებ შორის მიუდგომელი და გულდამშვიდებული ხალხიო“ და სხვა და სხვა... „მოგვეშველეთო!“,—თორემ რა ბატონო ჩალხუშიანო? i-ს წერტილი აკლია, იუპიტერ!

ისედაც განსაცდელით სავსე დროში, ასეთი ნაღმით გატენილი სიტყვების აბურთავება და ისიც ისეთი კაცისაგან, რომელიც ოცდა ათი წელიწადი ჟურნალისტობს და რომელიც თურმე ჯერ კიდევ ოთხმოციან წლებში „მაქსიმე კოვალევსკის მაღალ იდეალი“-ს ლექციებზე“ აღზრდილა,—ყოველის მხრივ საყურადღებოა და ღირს იმად, რომ ქართველმა საზოგადოებამ ღრმად შთაიდოს გულში და ხანგრძლივი განფიქრების საგნად გაიხადოს.....

ბ-ნ ჩალხუშიანს რომ დავუჯეროთ, ქართველი თურმე ქვა და გუნდას აყრის სომხის ზურგს, რომლის ხერხემლის ძვალი თურმე უიმისოდაც გაბზარულია. ამ თემაზე ბატონი ჩალხუშიანი, როგორც ეს რაინდ მამულიშვილს შეშვენის, გაბედულად სწერს „დასაბუთებულ“ ბრალდებას ქართველობის წინაალმდეგ ბ-ნ კოვალევსკის მისართმევად.

მუდამ სოლიდარობას ვეფიცებოდით ქართველებს, მუდამ ძმობა-თანხმობას ვქადაგებდითო, სწერს ბ. ჩალხუშიანი ბ. კოვალევსკის. თითქოს ბ. ბ. ჩალხუშიანებისთვის სხვა რამ სიტყვის ქადაგება უფრო ხელსაყრელი ყოფილიყოს და ქართველთა ლამაზი თვალების გულისათვის ისინი ამას დარიდებოდნენ, უანგარონი ❀ გულმართალნი!!„ მოგვეშველეთ!“

გაგვასამართლეთ ვიდრე სომხობას სულის სიმშვიდე არ წართმევიაო“, ვედრებით ევედრება ბ. ჩალხუშიანი თავის საყვარელ პროფესორს. არა გვჯერა, გველის სიბრძნით ჰურვილი ბატონი ჩალხუშიანი იმ ზომამდე გულუბრყვილო მტრედიც იყოს, რომ სერიოზულად სწამდეს, რომ ბატონი კოვალევსკი და tuti quaut-ები გამოარიგებენ და მოაშუშებენ თუ რამ სიმწვავეა ჩვენ შორის. ვფიქრობთ, ცოდვილი, რომ ბ. ჩალხუშიანს ეხლა კოვალევსკი დასჭირებია, მოუარაკებია ძველი სიყვარული, რომ ამ სიყვარულიი საქვეყნო დეკლარაცია მოურთავს პატივის-მოყვარეობის დამაკმაყოფილებელ ზიზილ-პიპილებით. იყავ მსაჯული ხალხთა, კავკასიის სამი მთავარი ერისა: სომხისა, თათრისა და ქართველისა, საშვილიშვილო ამაგი დაგვდე და მარად ჰყავ ბრწყინვალე ხსენება შენიო უკუნითი უკუნისამდე!..

არსებითად კითხვის დაყენების შესახებ მოგახსენებთ: სხვის სამსჯავროს წინაშე კარდაკარ სიარულს არ ვართ ჩვეული...

ხომ დაინახეთ ბ-ნო ჩალხუშიანებო, რომ ქართველის ტრადიციაში არ შედის ჩვეულება სხვის სამსჯავროს წინაშე კარდაკარ წოწიალისა. და ნურას უკაცრავად, პატივცემულო „ჰორიზონო“, თუ თქვენის მოწოდებით ბბ. კოვალევსკისა და ძმათა მათთა სამსჯავროს წინაშე არ წარვსდეგით მომჩივან-მოპასუხის როლში ღირსეულად პატივსაცემ ბბ. ჩალხუშიანებთან! საქართველოს საქმეებში საფათუროდ ისეთი ხალხის გარევა, რომელიც გულით და სულით უცხოა ჩვენი მშობლიური ქვეყნის ტკივილებისა, ღირსების შეუფერებლად და ჩვენი ტრადიციის შებღალვად მიგვაჩნია. ავად თუ კარგად ჩვენს საქმეს ჩვენვე ავუთავდებით. ეროვნული პოლიტიკა ქართველობის სიმწიფის დამოუკიდებელი აქტია.

ს. ქ დი.

ახალი ამბავი

✦ **„ძმური სიტყვა“ და „ბრატსკოე სლოვო“.** ეს გაზეთები დაიბეჭდა სულ 28 ათასი ცალი; თბილისში გასასყიდად დარჩა 13 ათასი ცალი, დანარჩენი 15 ათასი გაიგზავნა პროვინციებში. კვირას, 26 ივლისს, მოხალისე ქალ-ვაჟები დილაადრიან შეუდგნენ გაზეთების გაყიდვას თბილისში. გაზეთების მსყიდველნი ფულს დაბეჭდილ ყულაბებში აგდებდნენ. კვირასვე გაიყიდა 12 ათასი ცალი; დანარჩენი 1 ათასი ცალი გასასყიდად დაატარეს დაწესებულებათა და დიდ სავაჭრო სახლებში. შემოსული ფულის ანგარიშს დავბეჭდავთ.

✦ **დეპეშა ერობის შესახებ.** თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლის თანამდებობის აღმასრულებელმა თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა გუშინ დეპეშა გაუგზავნა სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს ბ-ნ როდზიანკოს ამიერ კავკასიაში საერობო რეფორმის შესახებ.

✦ **კავკასიის მთავარ კომიტეტში.** 23 ივლისს გრაფინია ვარანცოვ დაშკოვის დავმჯდომარეობით შესდგა სხდომა ომში დაზარალებულთა კავკასიის მთავარ კომიტეტისა. კომიტეტში მიღებულ ცნობების მიხედვით, ამ ხანებში მოაწყდა 100 ათასზე მეტი ოსმალეთიდან გამოქცეული სომეხი, ამათგან 25 ათასი სოფ. იგდირში იმყოფება. გადასწყვიტეს გაეგზავნოს ერევნის განყოფილებას ცალკე გადადებულ 50 ათას მანეთიდან 25 ათასი მანეთი პირველ დახმარების აღმოსაჩენად და იმავე მიზნით გადაეცეს თბილისის გუბერნატორს 10 ათასი მანეთი. ამავე დროს დაევალა წითელ ჯვრის სამედიცინო განყოფილების უფროსს პროფესორს მიროტვორცევს პატარა სანიტარულ რაზმის შედგენა და გაგზავნა იგდირში. იმავე სხდომაზე არჩეული იქმნა კომისია, რომელმაც უნდა ზომები მიიღოს შემოხიზნულთა დასაბინავებლად და გამოსაკვებლად.

კომისიაში არჩეულნი იქმნენ კ. ი. შაშკოვსკი; უფროსი თავმჯდომარე სამოსამართლო პალატისა ჩებიშევი, ზემოხსენებულ კომიტეტის გამგე პავლოვი და ეპისკოპოსი მესროპი.

✦ **საანკეტო ფურცლები.** ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ შეადგინა საანკეტო ფურცლები მეხილეობის შესახებ. ფურცლები ჩქარა დაიბეჭდება და საზოგადოების ინსტრუქტორ-აგრონომების საშუალებით დაურიგდებათ სოფლის მცხოვრებთ, რომელთაც შესაფერისი პასუხით უნდა შეავსონ ფურცლები და საზოგადოების საბჭოს უკანვე დაუბრუნონ. ამის შემდეგ საზოგადოებას საშუალება მიეცემა მეხილეობის გავრცელებას ხელი შეუწყოს იმ ადგილებში, საცა ეს დარგი სოფლის მეურნეობისა ხელსაყრელია.

✦ **თანამდებობის დატოვება.** როგორც ხმა დადის, კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების მდივანი მ. ქ. ვერმიშევი თანამდებობას თავს ანებებს და ამის შესახებ განცხადებაც მიართვა საზოგადოების საბჭოს.

✦ **ღვთის ვედრება.** შაბათს, 25 ივლისს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს ექზარხოსმა პიტირიმმა, ეპისკოპოზ ანტონისა და სამღვდელოებათა თანამსახურებით, ერევნის მოედანზე პანაშვიდი გადაიხადა ბრძოლის ველზე დახოცილ გმირთა სულის მოსახსენებლად. კვირას, 26 ივლისს, ექსარხოსმა პიტირიმმა წირვა შეასრულა სიონის ტაძარში, საცა დილის 8 საათზე ლიტანიით მივიდა დაბალის ღვთის-მშობლის ეკლესიიდან სასწაულთმომქმედ ღვთის-მშობლის ხატით გორის ეპისკოპოსი ანტონი. წირვის შემდეგ სიონის ტაძრიდან ლიტანია გაემართა ერევნის მოედანზე, საცა გადახდილ იქნა პარაკლისი. გუშინ, 27 ივლისს, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი პიტირიმი, ეპისკოპოს ანტონისა და სამღვდელოების თანამსახურებით, წირვა გადაიხადა დიდუბის ეკლესიაში. წირვის შემდეგ ეპისკოპოსი ანტონი ლიტანიით გაემართა დაბალის ღვთის-მშობლის ეკლესიაში, საცა თავისს ადგილას დასვენებულ იქმნა სასწაულთმომქმედი ღვთისმშობლის ხატი.

✦ **ექიმი მინასიანცი.** ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ განმანაწილებელ ლაზარეთის უფროსი ექიმის ბ-ნ მინასიანცის საქციელი ვერ აიტანეს მისმა ხელქვეითებმა და რამდენჯერმე პროტესტი განაცხადეს. მაგრამ უფროსების დადგენილებით ბ-ნი მინასიანცი მუდამ მართალი გამოდიოდა, ხოლო ხელქვეითები—მტყუანი. ეხლაც ბ-ნ მინასიანცს უკიდურესობამდისინ მიუყვანია თავისი მოპყრობით ლაზარეთის დაბალი მოსამსახურენი, რომელთაც ამის გამო მუშაობაზე ხელი აუღიათ. საქმის გამოსაძიებლად გუშინ, 27 ივლისს, ლაზარეთში წავიდნენ კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსი გენ. ლეიტ. ვოლსკი და ქალაქის მოურავის მოადგილე თავ. ა. მ. არღუთინსკი.

✦ **ხელოსანთა კლუბი.** კვირას, 26 ივლ. საგანგებო კრება ჰქონდათ ხელოსანთა კლუბის წევრთ. კრებამ აირჩია სარევიზიო კომისიის წევრებად ვ. ვ. ვაშაკიძე, ვ. მ. რუეპეცკი და ე. ი. ხანდანოვი, ხოლო მათ კანდიდატებად — ბ-ნნი ლაქსინი და ციტრინი. კომისიამ უნდა განიხილოს კლუბის მოქმედებისა და ფინანსიური ანგარიში, რომელიც მომავალ კვირას, 2 აგვისტოს, უნდა წარედგინოს განსახილველად და დასამტკიცებლად კლუბის საზოგადო კრებას.

✦ **ხოლერა.** 25—26 ივლისს ხოლერით ავად გახდა 2 კაცი, მათ შორის 1 არის ჯარისკაცი, ხოლო მეორე-მოსამსახურე გამანაწილებელ ლაზარეთის პორფილე დგებუაძე. ხოლერის ნიშნებით ავად გახდა 9 კაცი. 26—27 ივლისს ხოლერით გახდა ავად რკინის გზის კონდუქტორი პავლე ხუბაშვილი (არდაგანის შესახვევი) და 4 კაცი ხოლერის ნიშნებით.

✦ **გადამდები სენი.** 27 ივლისს გადამდები სენით იყვნენ ქალაქის თავშესაფარში: ქუნთრუშიანი 24, ხუნაგიანი 17, ყვავილიანი 3, საოფლიანი 8, მუცელიანი 3 და ხოლერიანი 23 კაცი.

✦ **ჯარში გასაწვევნი:** 1896 წელს დაბადებულნი თბილისის მცხოვრებნი, რომელთაც ჯარში გაწვევა მომავალ წელში უწევდათ, მაგრამ უმაღლესი ბრძანებით წელს უნდა გავიდნენ, ვალდებულნი არიან სამხედრო უფროსთან გამოცხადდნენ შემდეგის რიგით: 1, 2, 3, 4 და მე-5-თე პოლიციის ნაწილში მცხოვრებნი უნდა მივიდნენ სამხედრო უფროსთან 7 აგვისტოს; 6, 7 და მე-8-ვე პოლიციის ნაწილებში მცხოვრებნი 8 აგვისტოს და 9, 10, 11 და მე-12-ე ნაწილებში მცხოვრებნი 9 აგვისტოს. ახალგაზრდათ თან უნდა ჰქონდეთ, თავიანთი პიროვნების დასამტკიცებლად, პასპორტი, მეტრიკა, ანუ სხვა რაიმე საბუთის ქაღალდი.

◆ **ქალაქის საავადმყოფოს** ხარფუხის განყოფილება 29 ივლისიდან ორი კვირით იკეტება, რადგან საავადმყოფოს შენობა უნდა შეკეთდეს. იქ მოსიარულე ავადმყოფთ ქალაქის სხვა საავადმყოფოებში გასინჯავენ.

◆ **სანიტარული დათვალიერება.** პოლიცმეისტრის თანაშემწემ ბოქაულის დუშინსკის თანხლებით დაათვალიერა მესამე საპოლიციო ნაწილი. ბევრ ხილის მაღაზიაში აუარებელი საზამთრო და ხილი უვარგისად იქნა ცნობილი და მოსპეს. აგრეთვე რამდენიმე სასადილოს და საკატლეტეში სანიტარული წეს-რიგი დარღვეული აღმოჩნდა. განსაკუთრებულ ანტისანიტარულ მდგომარეობაშია იარმუკისა და ერევნის მოედნის სახილე და სხვა დუქნები. არუთინოვის სტამბაში ნადული წყალი არ ყოფილა მუშებისათვის კომისიამ ბევრი ოქმი შეადგინა.

◆ **კახეთის რკინის გზა** ივლისის გასულს დამთავრებულად ჩაითვლება და პირველ ავგისტოდან საექსპლოატაციო ხანაში შედის. გზის ფაქტიურ მფლობელად ქართველ თავად-აზნაურობა გახდება ერთი თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც გზის შემოწმება და საექსპლოატაციოდ გადაცემა გამოცხადებულ იქნება მინისტრის მიერ მთავრობის განკარგულებათა კრებულში,—ხოლო ეს მიმდინარე წლის ოქტომბრის ადრე არ მოხდება. ამ დღეებში გზის გამგეობამ მიიღო 4 მეორე კლასის ვაგონი და 4 საფოსტო. ამ ვაგონებში გუშინიდანვე დაიწყო მუშაობა.

◆ **შემოწირულობა.** რედაქციამ მიიღო დეკანოზ ნათიძესაგან (მწერლობაში „მელანია“) აჭარელთა სასარგებლოდ 3 მან., მისგანვე ეკლესიაში შეგროვილი 7 მან., სულ 10 მანეთი.

◆ **სურსათი.** 26 ივლისს თბილისში იყო მოტანილი: ფქვილი 26 ვაგ., ქერი 3 ვაგ., ფხვნილი შაქარი 7 ვაგ., კარტოფილი 1 ვაგ., ქვის ნახშირი 4 ვაგ., შეშა 2 ვაგ., ღვინო 2 ვაგ., ნავთი 19 ვაგ., ხილი 537 ფუთი.

მკითხველის შენიშვნები

IV

ქართული ენის შესასწავლ პირველდაწყებითი სახელმძღვანელოზე უფრო სავალალოა რუსული ენის სახელმძღვანელოს საკითხი. თუმცა მთავრობამ ნება დაგვრთო ქართულ ენაზე სწავლებისა, მაგრამ რუსულ ენას მაინც საპატიო ადგილი დაუტოვა. რუსული ენა უნდა ისწავლებოდეს როგორც საგანი, და ამასთანავე ამ ენაზე უნდა სწარმოებდეს სწავლება რუსეთის გეოგრაფიისა, ისტორიისა და სიტყვიერებისა. ყველა დაგვეთანხმება, რომ ჩამოთვლილ საგნების რუსულად შესწავლა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ შეგირდებს რუსული ენა კარგად ეცოდინებათ, თითქმის ისევე, როგორც აქამდის იცოდნენ (ან უნდა სცოდნოდეთ). ამნაირად მთავრობა სრულ უფლებას იტოვებს მოსთხოვოს ჩვენ ბავშვებს რუსული ენის შესაფერი ცოდნა, დავუმატოთ ამას ისიც, რომ ჩვენ ყოველთვის, როდესაც გვინდოდა დედა-ენისთვის საპატიო ადგილი მოგვეპოვებინა სკოლებში, ვუმტკიცებდით ვისაც კი ჯერ არს, რომ, თუ დედა-ენას საფუძვლიანად შეისწავლიან ბავშვები, რუსულსაც უკეთ შეისწავლიანო. ყოველივე ზემო ნათქვამი და პრაქტიკული შეხედულება რუსული ენის ცოდნის საჭიროებაზე გვაიძულებს შესაფერი ყურადღებით მოვეკიდოთ ამ ენის საკითხს ჩვენი ახალი ტიპის სკოლაშიაც.

რუსული ენის საფუძვლიანად შესწავლა დამოკიდებულია მასწავლებელსა და სახელმძღვანელოზე. მაშინ, როდესაც საშუალება გვაქვს ამოვირჩიოთ შესაფერი მასწავლებელი, ამავე საშუალებას სრულიად მოკლებული ვართ, როდესაც საკითხი სახელმძღვანელოს ეხება, ვინაიდგან რუსული ენის სახელმძღვანელოც მხოლოდ ერთი მოგვეპოვება,—Русское слово ი. გოგებაშვილისა, ორ ნაწილად გამოცემული. ამიტომ ძალაუნებურად მარტო ამ სახელმძღვანელოთი უნდა დავკმაყოფილდეთ. თუ გავიხსენებთ ამ სახელმძღვანელოს ისტორიას, შევნიშნავთ ერთ საკვირველ გარემოებას: ეს სახელმძღვანელო ჩვენში ჩვენებურს არავის გაურჩევია არსებითად, და თუ ვინმე კანტი-კუნტად ხმას ამოიღებდა, მოვალედ სთვლიდა თავს მხოლოდ დადებითი მხარეები აღენუსხა და ნაკლზე ხმას არ იღებდნენ. ამ გარემოებას არა სასურველი შედეგები მოჰყვა სახელმძღვანელოს შინაარსის და მიღებულ მეთოდის ზოგიერთი მხარეების გაუმჯობესების საკითხის დაყენებაზე: წიგნში მხოლოდ მექანიკური ცვლილებანი შეჰქონდათ და მით კმაყოფილდებოდნენ, სახელმძღვანელოს არსებითი ნაკლს ყურადღებას არ აქცევდნენ, მიუხედავად იმისა, რომ უტყუარ ღირსებებთან ეს ნაკლიც ცხადად გამოსჭვიოდა. ამ ნაკლზე ბევრი ლაპარაკობდა, მაგრამ მხოლოდ ზეპირად და წერილობით თავის აზრის გამოთქმას **ერიდებოდნენ.**

ძნელია, რასაკვირველია, გაზეთის მოკლე შენიშვნაში ამ სახელმძღვანელოს ვრცელი გარჩევა, ამას ცალკე ვრცელივე შრომა ესაჭიროება, ჩვენ აქ მხოლოდ ზოგიერთ მხარეებს აღვნიშნავთ გაკვრით.

პარადოქსი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მასალა, რომელსაც ვაწვდით ბავშვს, საინტერესო უნდა იყოს **არამც თუ ბავშვისათვის, არამედ დიდისთვისაც.** მხოლოდ ასეთ მასალასა აქვს პედაგოგიურ-მეთოდიური ღირებულება, მხოლოდ ასეთი მასალა იწვევს ბავშვში **ხალისს, ინტერესს და ცნობის მოყვარეობას,** რანიც, მსწავლულ კომპერეს სამართლიანი მტკიცებით, შეადგენენ გონების მადას (умственный аппетитъ). ასეთი მასალა ბლომად მოიპოვება „დედა-ენაში“, უშინსკის Родное слово-ში და ტოლსტოის „Книги для чтенія“-ში. განა დღესაც ჩვენ, ჭაღარა შერეულნი, სიამოვნებით და ინტერესით არა ვკითხულობთ „ამომავალ მზეს“, „მოდით, ვნახოთ ვენახს“, „მელიასა და მწყერჩიტას“ და მრ. სხვ.? ოღონდაც, რომ ასეა, და ეს ამგვარი საბავშვო მოთხრობა-ლექსები საფლავამდის გვეხსომება! ამნაირად, ინტერესის და ცნობის მოყვარეობის გაღვიძება ბავშვში შე-დგენენ იმ ღერძებს, რომელთა გარშემო უნდა ტრიალებდეს პირველ-დაწყებითი ენის შესასწავლი წიგნის შინაარსი. ეს ითქმის არამც თუ მშობლიურ, არამედ **და უმეტესად,** უცხო ენის შესასწავლ სახელმძღვანელოზე.

თუ ამ საზომით გავზომავთ Русское слово-ს შინაარს, შევნიშნავთ, რომ ამ წიგნის პირველი ნაწილს ბევრი ნაკლი აღმოაჩნდება. მაშინ, როდესაც პირველი ნაწილის შინაარსი წიგნის შემდგენელის ორიგინალურ ნაწარმოებებისაგან შესდგება, მეორე ნაწილში მოთავსებულია, ცოტაოდენ გამონაკლისით, რუსების ცნობილ მწერალთა ნაწარმოებნი. და აი სწორედ ეს გარემოება აცილებს პირველ ნაწილს მეორე ნაწილზე დაბლა. ამიტომ ჩვენ მეორე ნაწილს არ შევეხებით. პირველი ნაწილის შესახებ კი შევნიშნავთ შემდეგს: 1) საერთოდ წიგნის შინაარსი დაშორებულია „დედა-ენაში“ მოთავსებულ მასალას; 2) ორიგინალ მასალაში ხშირად რუსული კოჰლობს; 3) ორიგინალი მასალის შინაარსი ხშირად ძალიან ხელოვნურია (искуствен.) 4) შედარებით ცოტა ლექსებია და 5) წიგნში მოთავსებულ მასალის ბლომა ნაწილი ბავშვისთვის საინტერესო არ არის და ამიტომ ვერ უღვიძებს მას ინტერესს და ცნობის მოყვარეობას. ასეთია ლექსიური განყოფილება, გარდა ზოგიერთ Маленькіе разсказы-სა русская азбука-ში მოთავსებული მასალა, და აგრეთვე საკმაო მასალა განყოფილებებიდან: Уроки на предметной и рисуночной наглядности. გვარიან შრომას მოითხოვს ეს მასალა მასწავლებლებისაგან, რომ იმან სული ჩაუდგას ამ მასალას და გამოიწვიოს ბავშვებში ხალისი.

რაკი რუსული ენა უეჭველია, ახალი ტიპის სკოლაში დაიწყობა არა უადრეს მეორე წლისა, Русское сл. პირველი ნაწილსაც, როგორც „დედა-ენას“, სათანადო არსებითი შესწორება ესაჭიროება. შევსება-შესწორებას ვერ ასცდება ამ მხრივ ვერც ამ წიგნის მეორე ნაწილი.

ჩვენ შევეხეთ რუსული ენის სახელმძღვანელოს მოსამზადებელ კლასებში. რაც შეეხება პირველ და დანარჩენ კლასებს, აქ საკითხი უფრო ადვილადა სწყდება, რაკი რუსული ენის სახელმძღვანელოთა რიცხვი აქ იმოდენად დიდია, რომ სათანადო სახელძღვანელოს ამორჩევა გაცილებით უფრო ადვილია.

შემდეგ წერილში მკითხველს გავაცნობთ ახლად გამოსულ ბ. ს. ოცხელის პირველ-დაწყებითი რუსული ენის სახელმძღვანელო „Новое слово“-ს.

ვას. ჯაფარიძე.

ხმა ებრაელთა

ფრიდმანი. ებრაელებმა მიუხედავად მძიმე უუფლებრივო და აუტანელ მდგომარეობისა, შესამჩნევი მონაწილეობა მიიღეს ომში და არაფრით არ ჩამორჩენილან სხვებისაგან. ებრაელებმა გაგზავნეს ომში დედისერთა შვილებიც კი...

ომის დაწყებისას გაზეთები მრავალ მოხალისეთა რაზმების შესახებ სწერდნენ. ბრძოლის ველზედ სხვებზე უხეირონი არ აღმოჩნდნენ და მრავალნი მოიპოვებიან ბრძოლის ველზედ სახელმოხვეჭილნი და დაჯილდოებულნი.

როგორღა შეჰხვდა რუსეთის მთავრობა ებრაელების ამ გვარ აღფრთოვანებას?—ეკითხება ორატორი.

მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რომ მთავრობა ყოველღონისძიებას მიიღებდა ომის ასპარეზის შუაგულ ადგილას დარჩენილ ებრაელთა ტვირთის შესამცირებლად. ნამდვილად კი ომის დაწყებიდანვე რეპრესიები ებრაელთა მიმართ არა თუ არ შემცირებულა, არამედ უფრო გაძლიერდა.

კურსკიდან გადაასახლეს ებრაელი ქალი გუტერმანი, რომლის ქმარიც ომში წაიყვანეს. სოფ. ლისკიდან (რეჩიცის მაზრა) გადაასახლეს მეწაღე, რომელიც მთელი 10 წელიწადი სცხოვრობდა აღნიშნულს ადგიზედ და 3 შვილი გაჰგზავნა ბრძოლის ველზედ.

არ შემიძლიან აღუნუსხველად დავტოვო აგრეთვე ებრაელების ბეჭვდითი საქმის მდგომარეობა: ყველა ებრაულური გაზეთი, რომელიც კი გამოდიოდა ვარშავაში, ვილნოში და ბელოსტოკში, ცენზურის განკარგულებით დაჰკეტეს.

— რუსულად შეუძლიათ იკითხონ!— გაისმის ცინიკური ხმები მარჯვენა რიგებში, სადაც ებრაელი დეპუტატის სიტყვის დროს სულ მხიარული განწყობილება ჰსუფევდა.

გუშინ აქ მმართველობის თავი ლაპარაკობდა, რომელმაც სამართლიანობა მხოლოდ პოლონეთის მიმართ სცნო. მაგრამ არ შეიძლება იმისი დავიწყება, რომ პოლონეთის მიწა-წყალზე ებრაელების სისხლიც იღვრება და, სამწუხაროდ, არა მხოლოდ მტრის ხელისაგან, არა მხოლოდ ომისაგან, არამედ ომისა გამო და ყოვლად უმიზეზოდაც.

როდესაც სახ. სათათბირომ ყურადღება მიაქცია იმას, რომ მშრომელთათვის შესვენებაა საჭირო, ჩემს თვალთა წინ წარმომიდგა ჩემი უბედური ერი, რომელმაც არ იცის არც შესვენება და არც სიმშვიდე; იგი ეხლა, ამ წუთებში არ მოითხოვს გარანტიას შესვენებისათვის, იგი მხოლოდ არსებობისათვის, პირველყოფილ ადამიანის უფლებისათვის მოითხოვს გარანტიას, და ესეც კი არ იყო ნათქვამი.

ომი ცვალებადი ბედით სწარმოებს.

გამარჯვებას მარცხი მოსდევს. მარცხს უეჭველად თავისი დამნაშავენი მოეპოვება და, რასაკვირველია, ურიგო არ არის მათი ხელში ყოლა. დანაშაულის გადასაბრალებლად არსებობს ებრაელი, მით ყოველივე ცოდვის მონანიება შეიძლება.

გაავრცელეს ხმები იმის შესახებ, რომ ებრაელთა ოქრომ გერმანეთისაკენ იწყო დენა ჰაეროპლანებით, კუბოებით, ბატების სტომაქით და სხვაო. ეს არაკები მაშინ გავრცელდა, როდესაც რუსის ჯარმა უკან დახევა იწყო წინასწარ დამზადებულს პოზიციებისაკენ. ებრაელებისადმი მიმართ მიღებულ იქნა მთელი რიგი ისეთ საშუალებათა, რომელნიც თავისი სიმკაცრით და გამომწვევ მიზეზებით არსად არ გაგონილან მთელს კაცობრიობის ისტორიაში.

ეს საშუალებანი აგონებდა ხალხსაც და ჯარსაც, რომ ებრაელნი მტერნი არიან, რომ მათ ისეთი მოპყრობა ჰმართებთ, როგორც მტერს, და რომ ებრაელთა ხალხი ყოველივე კანონის გარეშე სდგას.

შედეგი ებრაელების მასობრივ გადმოსახლებისა პოლონეთიდან ის არის, რომ ნახევარ მილიონზე მეტი ხალხი მათხოვრებსავით დაძრწის უგზო-უკლოდ. და ვისაც ეს გადასახლება თვალით უნახავს, მას მთელი სიცოცხლის განმავლობაში არ დაავიწყდება იგი. ის ხალხი, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ შეძლებულად ითვლებოდნენ და მათხოვრებს მოწყალებას ურიგებდნენ, დღეს თვით გარდიქცნენ მათხოვრებად.

მე მინახავს სათადარიგო ჯარისკაცთა ოჯახები, და რაც ყველაზედ უარესია— დაჭრილი ჯარისკაცნი მკერდზედ გიორგის ჯვრებით. ბატონებო, ეს გუშინდელნი გმირნი.

ბნელი დასმენა ღალატისა შეიძლება მხოლოდ უუფლებობის ნიადაგზე აღმოცენდეს, და სადაც სრული უუფლებობა არსებობს, იქ არც ამგვარი ეჭვი მოიპოვება.

ბ-ნნო სახ. სათათბიროს წევრნო, თქვენგან არის დამოკიდებული ის მოქმედება, რომელსაც შეუძლიან გამოიყვანოს ებრაელთა ხალხი ამ მდგომარეობიდან. და თუ სახ. სათათბირო ამას იზავს იგი ალასრულებს პატიოსნების მოვალეობას, მოიყვანს სისრულეში სახელმწიფოებრივ სიბრძნის აქტს, რომელიც აუცილებელია სამშობლოს სარგებლობისა და დიდებისათვის. (ბ. ვ.)

ეროვნული საკითხი სახ. სათათბიროში

საერთო რეზოლიუციის განხილვის დროს მაჰმადიანთა დეპუტატმა **ტევკელევმა** შემდეგი განაცხადა;—აქ, სახელმწიფო სათათბიროში მყოფ ლატიშების, ლიტველების, ესტონელების, სომხების, მაჰმადიანების და ებრაელების წარმომადგენელთა მონდობილობით პატივი მაქვს გაუწყოთ შემდეგი:

„ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ მსოფლიო ომიდგან, რომელიც ერთ პატარა ეროვნების შელახულ ინტერესების დასაცვავად დაიწყო, უფლება და სამართლიანობა გამოვა გამარჯვებული. ჩვენა ვგრძნობთ, რომ ჩვენი ბედი დიდი რუსეთის ბედთან არის დაკავშირებული. ეს კავშირი განმტკიცებულია საერთო უბედურებით ბრძოლის ველზედ. ჩვენა ვგრძნობთ, რომ ყოველივე ძალღონე უნდა ვიხმაროთ ქვეყნის მომავალ თავდაცვისათვის. ამავე დროს ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებული, რომ მტრის მოსაგერიებლად და მასზედ გასამარჯვებლად ერთ უმთავრეს პირობათაგანია რუსეთის ხალხთაშორის სულის განწყობილების ამაღლება და საშვალების მიცემა ყველა ერთათვის, რომ მათ თავისი ძალღონე თავისუფლად მოახმარონ საერთო მტრის დასამარცხებლად. ამის მიხწევა ყველაზედ უკეთესად შეიძლება მაშინ, როდესაც უზრუნველყოფილი იქნება რუსეთის ყველა ეროვნების უფლებრივი თანასწორობა. ჩვენ წინადადებას ვაძლევთ სახ. სათათბიროს მიმდინარე საქმეებზედ გადასასვლელ ფორმულებში აღნიშნოს ჩვენი სურვილი რომ ახლომომავალში ზომები იქმნას მიღებული 1) ადმინისტრაციის მიერ ცალკე ეროვნებათა შევიწროვების წინაამდეგ და 2) კანონმდებლობით გაუქმდეს სარწმუნოებათა და ეროვნებათა შემავიწროვებელი ყველა კანონები“.

კენჭის ყრის დროს უარყოფილ იქნას ყოველივე შესწორება და ფორმულა მიღებულ იქნა იმ სახით, როგორითაც **ბობრინსკის** მიერ იყო შეტანილი.

ტევკელევის მოთხოვნილება, რომ ეროვნებათა ჯგუფის თავმჯდომარის დამატება შეტანილ იქმნას, უარჰყვეს მემარჯვენეთა და ცენტრის უმრავლესობამ.

— **ერთობა!**—ისმის მარცხნით ირონიული ხმები მარცხნით.

— **სირცხვილი!**—ჰყვირის იჩასი.

— **ნუ უსაყვედურებთ, თუ შეიძლება.—ყველა თავისუფლად აძლევს კენჭს, თავისი სინდისის მიხედვით,**— შენიშნავს მათ თავმჯდომარე.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეროვნებათა ჯგუფის შესწორება უარყოფილ იქნა 191 ხმის უმეტესობით 162 ხმის წინააღმდეგ.

მაშინაც

(დასასრული. იხილეთ „საქართ.“ № 54).

III

შემოდგომის ერთ ტბილ დილას, როცა მთელი სოფელი ყანებს მოსდებიყო, ყველა ფუსფუსებდა და საქმიანობდა, მინდვრიდან შინ ეზიდებოდა სარჩოს, ისეთ საქმიანობის დროს პატარა ეკლესიის პატარა ზარმა ასტეხა გაცხარებული ნივ-ნავი. ყველას ყურადღება მიიყრო ზარის რეკვამ, ხალხმა დასტოვა საქმე და მიაშურა საყდრის მინდორს. რამოდენიმე სოფლის გავლენიან პირს; მღვდელს, სოფლის მამასახლისს, მოეყარათ თავი ეკლესიის გალავანში, მნათე რეკდა ზარს, ვიღაც ორნი უცხოებიც იყვნენ, მათი ცხენები გალავან-გადაღმა იყვნენ მიბმულნი, ხურჯინებით დატვირთულთ ეტყობოდათ შორე გზა უნდა გამოევლოთ. უცხო სტუმრებს თან ახლდათ ცხრა თუ ათის წლის ბიჭი.

მთელი სოფელი შეიკრიბა, ყველა მოსვლის მიზეზს ჰკითხულობდა. ჯერ არავინ არა იცოდა რა, მისჩერებოდენ მოძღვარს და სტუმრებს.

— მამა და შვილნო!—დაიწყო მღვდელმა:—მოგიხმეთ, ერთ ფრიად ძნელ გამოსაცნობ საქმეზე. შეცდომაში რომ არ შევიდეთ, საჭიროა მთელი სოფელი უკლებლივ იყოს, არ აკლდეს დედაბრის ყური. აბა მამასახლისო მოათვალიერე მთელი სოფლის მცხოვრებნი, არიან აქ თუ არა. განსაკუთრებით დედა-კაცები.

სოფლის მცხოვრებნი შეინძრნენ, მიირბინ-მოირბინეს, ყველა დაათვალიერეს.

— მთელი სოფელი აქ გახლავთ, მამაო!

— მაშ მოუსმინეთ ამ პატივსაცემ და ჩვენზე დიდად დავალებულ სტუმრებს.— მიუთითა ხალხს გვერდით მდგომ ახალმოსულებზე.

— ამ ქვეყნის პატიოსანნო მცხოვრებ-

ნო! მოგესალმებით და გისურვებთ ყოველ კარგს, გისურვებთ აგრეთვე, აღარ გამოგეცადნოს ის დღე, რაც გამოვსცადეთ, არამც თუ თქვენ, არამედ მთელმა ქვეყანამ, იმ უბედურ შიმშილობის დროს. სწორედ იმ საშინელ დროს ცხრა წლის წინეთ მომიხდა აქ გამოვლა, სავაჭროზე დავდიოდი, ორპირიდან დაბრუნებული [illegible] სურამს. ეს ჩემი ამხანაგი და სხვები კიდევ. [illegible] გადაგვქონდ-გადმოგვქონდა, გვინდოდა ხელი შეგვეწყო. რას გავხდებოდით ქვეყანას, ზღვას რომ წვეთი მისთავაზო, ისე სჩანდა ღვაწლი ჩვენი. ეს სოფელი მთლად წაელეკა შიმშილს, კაცის ყურიც არ ჭაჭანებდა პური ან ხორბალი მოგვეწოდებინა. სწორედ მაშინ აქ, ამ სოფელში ვიპოვე უპატრონოდ დაგდებული ბავშვი, ვაჟი, წლისა და ნახევრის იქნებოდა, დიაღაც წავიყვანე, გავზარდე და დღეს ისევ დაუბრუნე სოფელს თავისი შვილი. თუ ჰყავს მშობელი ან მონათესავე ვინმე, გამოჩნდეს და ჩაიბაროს.—დაათავა სიტყვა ვაჭარმა და ირგვლივ მოავლო გამოცდილი თვალი.

ხალხი შეინძრა, აჩოჩქოლდა,

— ჩემია ბატონო, ჩემია ბატონო!— გაიძახოდა ყველა. ყველა წინ მიიწევდა. ყველა ძალობდა უნდოდათ ბავშვისთვის წაევლოთ ხელი და მიეთვისებიათ. შეშინებული ბავშვი-კი, აღმზრდელს ეკვროდა.

— ასეთი ქცევა შეიძლება? ხევის თავო! შეაჩერე ხალხი.—დაიძახა ვაჭარმა,

— ყმაწვილის პოვნას ერთი ნიშანი აქვს, ვინც იმ ნიშანს დაასახელებს პატრონიც ის იქნება. ყველას ენა დაებათ, ვერავინ ვერ დაასახელა ნიშანი.

— აბა მითხარით, სად უნდა მეპოვნა ბავშვი და რა პირობებში, შარაზე, თხრილში, მინდორში თუ ტყეში?—ყველა სდუმდნენ.

ნუ თუ მთელი სოფელი აქ არის? ნუ თუ არავინ არ იცის, არც მოხუცმა, არც ჯეელმა? იკითხა ვაჭარმა, წინ გადაშლილ ფართო მინდორს გახედა და ძველ დიდ მუხას უნებურათ დააშტერა თვალი. რაღაც მოგონებას მიეცა წუთიერად.

— ყველა აქა ვართ, ბალღის ყურიც-კი, არ გვაკლია დაიძახა ხევის თავმა.*)

— ის ვინ არის?—იკითხა ისევ სტუმარმა და მიუთიდა ხალხისაგან გარეშეთ მდგომ დედაკაცზე, რომელიც ის იყო გამოვიდა თავის ბინიდან და უმიზნოდ გამოსწია ხალხისაკენ.

— ის ქალი ვინ არის?—განიმეორა კითხვა.

— ეგ არავინ მამაო. სულით ავათმყოფია, ბინადრობს აი, იმ მუხის ძირში, ღრუში... არავის აწუხებს და არც ეხება მას საქმე ჩვენი.

— როგორა სთქვით მამაო? სად ბინადრობს, ან ვინ არის?

— არ ვიცი თქვენმა მზემ. როცა დიდი შიმშილობისაგან გონს მოვედით ხალხი, თვალებზე ბინდი გადაგვეცალა და ვიცანით ერთიმეორე, შევამჩნიეთ ის საცოდავი დედაკაცი. დიდის ხნით დაბინავებულიყო შიგ.—მიუგო მღვდელმა.

აჩოჩქოლებული ხალხი ჩაჩუმდა რაღასაც მოელოდნენ.

— ჰოოო!.. ჩაიქნია თავი ვაჭარმა მრავალ მნიშვნელოვანათ.

— მუხის ძირში ბინადრობს. რა თვისებები აქვს, არავის ერჩის?

— არა ბატონო!—უპასუხეს.

— როგორის ქცევისაა.

— ცხენოსან მგზავრებს მისდევს უკან. ხედავთ ეხლაც თქვენს ცხენებთან მივიდა, ათვარიელებს...

ყველა იქ მყოფნი ცნობის მოყვარეობამ მოიცვა დღემდის შეუმჩნეველ უმნიშვნელო მიუს ეხლა ყველამ მიაქციეს ყურადღება.

— დაუძახეთ, მოიყვანეთ აქ სთქვა სტუმარმა.

— საწყალო, საწყალო!—დაუძახეს.

დედაკაცმა მოიხედა, ნაღველი რამ ემჩნეოდა (სახეში) თვალებში.

— საწყალო მოდი, აი ეგერა, ბატონებს უნდათ შენი ნახვა. უთხრეს და სახელოთი გამოსწიეს.

— დამაცადეთ დამაცადეთ... ჰო რას ვამბობდე? ჰო ჰო, როგორ იქნება, არ მოიყვანოთ?...

— წამოდი, შე საწყალო, წამოდი.— ჩასჭიდა ხელი ორმა დედაკაცმა და ძალათ მიიყვანეს სტუმრებთან.

— შენი სახელი ქალო? — ჰკითხა მღვდელმა.

ქალმა გაიცინა...

— სახელი რა გქვია, სახელი, ვინა ხარ?

— ბეჟიროო ჰქვიოდა...

— ის არის ნამდვილ სთქვა ვაჭარმა...

— ქალო შენი შვილი სად არის სად?

ქალმა უაზროთ მოავლო თვალი, იქ მყოფთ.

— ქალო, აი შენი შვილი. გახსოვს იმ მუხის ღრუში რო ჩასვი, ვაჭრებმა რო გამოიარეს და წაიყვანეს, გაიზარდა, ამოდენა ბიჭი შეიქმნა, და მოგიყვანე, რას ეძახდი ბეჟანს... აჰა, მოჰკიდე ხელი,—ბავშმა უკან დაიხია, ქალმაც დაათვალიერა შვილი, რაღაც ნაპერწკალმა დაუკვესა თვალებში და ისევ ჩაქრა.

— ვერ იცანი?—ქალმა თავი გაიქნია. წასვლა დააპირა, მაგრამ არ გაუშვეს, ორმა კაცმა წამოიყვანეს, წინ ვაჭარი გაუძღვა.

— აი აქ დადექით, დაიჭით და აყურებინეთ, ეცადეთ კარგათ ადევნოს თვალი ყველაფერს, ხალხო თქვენ დაიხით უკან, თვალს მიეფარეთ. ერთი ახალგაზრდა ქალი მიშოვეთ და პატარა ყმაწვილი.

მოჰგვარეს ქალი, ბავშვით... სტუმარი ერთ ხანს იყო ჩაფიქრებული.

— ასეთი რამ გამიგონია ჭკუიან ხალხისგან და ვსცადოთ ამ უბედურზე...— ახალ გაზრდა ქალს აუხსნა როგორ მოქცეულიყო, თავათ მოხსნა ცხენები და თავის თანამგზავრთან ერთად დასავლეთით მიეფარა თვალს. ახალ გაზრდა ქალმა წაიყვანა ბავშვი დაჯდა მუხის ძირში და ძუძუ მიაწოდა შვილს. ცოტა ხანს შემდეგ ცხენების ფეხის ხმა მოისმა ქალი წამოხტა, ბავშვი გულიდან მოიგლიჯა და მუხის ძირში შესვა, თავად გაიქცა ყოფილ ტყისაკენ, ის ძველი დიდი ტყე გაეჭრა ხალხს მაგრამ ცოტა რამ საფარი კიდევ იყო. აქ შეაფარა თავი, ბავშვმა საშინელი წივილკივილი ასტეხა... დედაკაცი მაგრად ეჭირათ ხელში ორ კაცს, და თვალს ადევნებდნენ, ბევრი სწავლება აღარ დასჭირდა, რა რო ახალგაზრდა ქალი ბავშვით მინდორზე გამოსული დაინახა, გაადევნა თვალი, ქალი რო მუხის ძირას ჩაჯდა და ბავშვს ძუძუ მიაწოდა, დედაკაცი ჩაფიქრდა, თვალები უფრო დაუ[illegible] წაუვიდა, ცხენების ფეხის ხმა რო გაიგონა, შეტოკდა—გაიწია... ქალმა ბავშვი მუხაში ჩასვა, და ტყეს მიეფარა, შეშლილი შეფთხრიალდა, ამღვრეული თვალები გადაეწმინდა, ბავშვის ყვირილი ჩაესმა წამოჰარხლდა და გაიწია. როცა ცხენოსნებმა ყმაწვილი აიყვანეს და დააპირეს წასვლა აქ კი საშინლად გაიწია, გაუსხლტა ხელიდან კაცებს და გაქანდა ყვირილით.

— ჩემი შვილი ჩემი შვილი...—ვეფხვივით გადახტა თხრილზე და საშინელის ღონით ეცა ცხენებს სადავეში...

IV.

ათის თუ თუთქმეტის წლის შემდეგ ბეჟანიც საზოგადოების წევრი იყო, დასახლებული დაცოლშვილებული და მრავალ ტანჯული დედა მისიც ყოჩაღად გამოიყურებოდა, ხალხი კვლავ შრომობდა და შეჰხაროდა სიცოცხლეს.

მ. გარიყული.

---

*) უთუოდ ამ სახელს უწოდებდნენ რადგან ეს რუსის შემოსვლამდის იყო შეიძლება მამასახლისიც ეწოდებიათ. თუმცა მამასახლისები ქალაქებს უფრო განაგებდნენ და სოფელს-კი ხევისთავები. ავტ.

შვეცია

მთელი შვეცია ომის დაწყებიდანვე ორ ბანაკად გაიყო. „აქტივისტები“, რომლებსაც მხარს უჭერს თვით ხელმწიფე თავის ამალით და რომელნიც მოითხოვდნენ დაუყონებლივ ომში ჩარევას, რომ ამ გზით საბოლოვოდ დაებრუნებინათ შვეციის წარსული დიდება და მათი მოწინააღმდეგე ლიბერალები, სოციალ-დემოკრატები, და უფრო კი ახლანდელი მთავრობა ჰგმობდნენ „აქტივისტების“ ტაქტიკას და სცდილობდნენ დღევანდლამდის მაინც ნეიტრალიტეტი დაეცვათ. ყველა მართლაც დარწმუნებული იყო, რომ იმ მთავრობას, რომელსაც დიდი უმრავლესობა ჰყავს პარლამენტში, არ გაუძნელდებოდა დაეცვა შვეციის გერმანელთა მიერ ავნტიურაში ჩათრევა. მართლაც, ამ რამდენიმე კვირის წინად თვით გარეშე საქმეთა მინისტრმა ველლენბერგმა საქვეყნოდ დაჰგმო აქტივისტების მოქმედება. მისი სიტყვით, შვეციის ხალხს არა ჰსურს ომი, და ვერავითარი აგიტაცია ნეიტრალიტეტზედ ხელს ვერ აიღებინებსო. ასე ლაპარაკობდა მინისტრი გუშინ, დღეს კი პრემიერი სულ სხვა ნაირად ალაპარაკდა. მან თავის სიტყვაში, რომლითაც მიჰმართა მისთან მიგზავნილ სამშვიდო ლიგის კონფერენციის დეპუტაციას, სასტიკად გაჰკიცხა და გალანძღა პაციფისტების მოღვაწეობა.

რა დროს, თეორიულ პრინციპებზედ კინკლაობაო, ამბობს პრემიერ-მინისტრი ხამარსკვოლდი; დღეს მთელი შვეცია უნდა შეერთდეს, რომ დაიცვას თავისი არსებობა და დიდება. მე ვიცი, ბატონებო, თქვენი სურვილი. თქვენ გინდათ რომ შვეციაში მხოლოდ მშვიდობიანობა სუფევდეს. მაგრამ ამის შესრულება ასე ადვილი არ არის. სამართლიანი ჩვენი ანდაზა (აქ მოყვანილი შვედების ანდაზა უდრის ქართულს)—არა მკითხე მოამბეო მიტყიპე და მიაგდეო. საგარეო პოლიტიკაში „არა მკითხე მოამბე“, ბატონებო, ხალხს სარგებლობის მაგიერ დიდ ვნებას და უბედურობას მოუტანს.

„არა მკითხე“ უწოდა პრემიერმა იმ დეპუტაციას რომელიც კონგრესმა გააგზავნა თავის რეზოლიუციით, სადაც სთხოვდნენ მშვიდობიანობის დაცვას.

მკითხველი კარგათ მიხვდება პრემიერის სიტყვებს. როგორც პარველმა ოფიციალმა პირმა სახელმწიფოში, პრემიერმა მხოლოდ ახლა განაცხადა რომ შესაძლებელია შვეციამ პირი იბრუნოს და ომში ჩაერიოსო. გასაკვირველი კიდევ უფრო ის არის, რომ პრემიერის სიტყვას დიდი აღტაცება გამოუწვევია სწორედ იმ ბანაკში, რომელიც თავიდანვე ომის მოწინააღმდეგე იყო. მთელი პრესა, გარდა სოციალ-დემოკრატებისა, ტაშს უკრავს პრემიერს. თუ რა სიხარულით შეხვდებოდა ამ ახალ მოვლენას გერმანია, ამაზედ ხომ ლაპარაკიც მეტია.

ახლა ცხადია, რომ აქტივისტები, რომლის უმრავლესობას შეადგენდა ოფიცრობა და მსხვილი მემამულენი, საგრძნობლად იმატებენ და ჩვენც დიდს ამბებს უნდა მოველოდეთ ამ მოკლე ხანში სკანდინავის კუნძულიდან. („დენი“)

ლურჯ-ბილეთებიანს საყურადღებოდ

როგორც ვიცით, ახლო მომავალში მეორე ხარისხის მოთადარიგე ჯარისკაცებს, ანუ როგორც ჩვენში ეძახიან, ლურჯ-ბილეთებიანებს ჯარში გაიწვევენ. საჭიროდ ვსცნობთ მკითხველთ ამის გამო შემდეგი ცნობა მივაწოდოთ.

მუდმივ ჯარის დასახმარებლად ვისაც კი იარაღის ხმარება შეუძლიან ახალგაზდებიდან დაწყობილი ორმოცდასამის წლის მამაკაცებამდე გაწვეულ იქმნებიან.

წიოელ ბილეთიანებს, ანუ პირველ ხარისხის მოთადარიგეებს უმაღლესის ბრძანების ძალით გაიწვევენ, ხოლო ლურჯბილეთიანებს უმაღლეს მანიფესტით, სადაც აღნიშნულ იქნება რიცხვი მოთადარიგეებისა, ხოლო მათ მოსაკრებად გუბერნიებზე განაწილება იმავე წესით მოხდება, როგორც წითელ ბილეთიანების მოსაკრებად ხდებოდა.

ომში გაწვეულ მოთადარიგეებს გაწვევის დღიდან სამი დღის ვადა ეძლევათ, რათა თავის შინაური საქმეები მოაწესრიგოს.

ჩვენი ცხოვრება

ქ. თელავი· ამ ზაფხულს ესტუმრა თელავს თბ. დრამ. დასის მსახიობთა ერთი წრე ნინო ჩხეიძის მეთაურობით. წრეში შედიან თვით ჩხეიძე, ს. ბეჟანიშვილი, რუისპირელი, ბ-ნი ქორელი, პ. ყორიშვილი, გომელაური, ახოსპირელი, თელავში სააგარაკოდ ჩამოსული მსახიობი დავითაშვილისა და ჩვენში მაცხოვრები მს. თ. გოგოლაშვილი.

ეს წრე ბ-ნ ქორელის რეჟისორობით ყოველ შაბათს წარმოდგენებს ჰმართავს საკრებულო დარბაზში.

დადგეს „უბედური ნაბიჯი“, „მედეია“, „სამშობლო“, „ციცინათელა“ და „სოფლის ექიმი“. უმთავრეს როლებს ნ. ჩხეიძე და ქ-ნი დავითაშვილი ასრულებენ ხოლმე და საუცხოვოდაც თამაშობენ.

ქ-ნ ნინო ჩხეიძის თამაშით ხომ საზოგადოება იხიბლება და არა ერთხელ აქვითინებულა არა თუ ქალები კაცებიც კი.

წარმოდგენებს ყოველთვის მრავალი ხალხი ესწრობა და ბევრი უადგილობის გამო იძულებულია უკან დაბრუნდეს იმ იმედით, რომ შემდეგ წარმოდგენაზე წინდაწინვე შეიძენს ბილეთი.

მსახიობთა წრემ სხვათა შორის მონაწილეობა მიიღო ილიას საღამოზე—20 ივლისს, ითამაშეს „დედა და შვილი“ და გლახა ჰრიაშვილი ხოლო აპოთეოზში ახოსპირელმა, მჭედლიშვილმა და სხვ. წაკითხულ იქნა აგრეთვე რეფერატიც.

დავიწყებული.

დეპეშები

პეტროგრადი, 24 ივლ. მინისტრთა საბჭომ 15 ივლისს მოისმინა სტატისტიური ცნობები რუსეთის ფინანსიურ და ეკონომიურ მდგომარეობისა. ამ სტატისტიკიდან სჩანს რომ პირველ ნახევარს 1915 წლისა სახელმწიფო შემნახველ კასებში შემოსულა 3013 მილიონი, მაშინ როდესაც პირველ ნახევარს 1914 წლისა მხოლოდ 8,7 მილიონი იყო შეტანილი.

ნიში, 23 ივლ. „პრეს-ბიურო“ იუწყება: რუსეთის, იტალიის, ინგლისის, და საფრანგეთის წარმომადგენლებმა ბალკანეთის საკამათო საკითხის მოსასპობლად გუშინ კოლექტიურად მიმართეს სერბიის მთავრობას. მოკავშირეთა გამოსვლას მეგობრული ხასიათი აქვს; ბალკანეთის ხალხთა შეთანხმების და ომის სასურველად დაბოლოვების სურვილით არის ნაკარნახევი.

პარიზი, 24 ივლ. გერმანელების მიერ ვარშავის აღებამ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა საფრანგეთზე, მიუხედავად ამისა ის მაინც დინჯად ეგებება მას.

სტოკჰოლმი, 24 ივლ. ბერლინში ახლო-მომავალში გამოვა ცნობის მიმწვდელი გაზეთი შემდეგის სათაურით: „რუს-გერმანიის ეკონომიური ომი“. ამ გაზეთში სხვათა შორის მოთავსებული იქნება რეგისტრაცია გერმანელ ქვეშევრდომთა იმ მიწებისა, რომლებიც რუსეთის მთავრობამ ჩამოართვა მათ. განსაკუთრებული ყურადღება იქნება მიქცეული პოლონეთზე,

სოლუნი, 24 ივლ. სტამბოლიდან იუწყებიან, 21 ივლისს ენვერ-ფაშა დარდანელში გაემგზავრა ოსმალთა ჯარის და სიმაგრეების დასათვალიერებლად და შემდეგ ადრიანოპოლში წავიდაო.

ინგლისის წყალქვეშამ ნაღმი ესროლა გალათის ხიდს, მაგრამ უნაყოფოდ. სკუტარიდან ოსმალთა ბატარეამ ყუმბარები დაუშინა წყალქვეშას და მით ძლიერ დააზიანა გალათის სადამოჟნო.

პეტროგრადი, 25 ივლ. გაიხსნა სამხედრო-სამრეწველო კომიტეტთა წარმომადგენლების სხდომა. თავმჯდომარედ არჩეულია გუჩკოვი, ხოლო მის თანაშემწეთ ჟუკოვი, ლვოვი, რიაბუშინსკი და ჩელნოკოვი. სხდომის გახსნისთანავე სიტყვა წარმოსთქვა ავდაკოვმა, რომელშიაც აღნიშნა სამხედრო სურსათის მიწოდების მოუწესრიგებლობა და განაცხა რომ ამ საკითხის გამორკვევა მიზანია დღევანდელ სხდომისაო. გუჩკოვმა ხაზგასმით აღნიშნა ისტორიულ მომენტის სიდიადე. ჟურავსკის აუცილებელ საჭიროდ მიაჩნია მრავალ სახელოსნოების გახსნა, ამავე დროს მთავრობამ უნდა შეჰქმნას ცენტრალი ორგანო საომარ მასალების მომგროვებელი. სამხედრო-საზღვაო კომისიის თავმჯდომარე ბუბლიკოვი, სახელმწიფო სათათბიროში მარკოვის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს უპასუხებს. რიაბუშინსკის აზრით კერძო მრეწველობას არ შეუძლია დღევანდელ პირობებში საომარი მასალის დამზადება, რადგანაც ამისთვის საჭიროა სპეციალი ქარხნები, რომლების აშენება დიდ დროს თხოულობსო. ბოლოს ურჩევს რუსეთის მრეწველნი შეათანხმონ მოკავშირეთა მრეწველებს, რომლებისგანაც ბევრ რამის მიღება შეიძლება.

გარეშე საქმეთა მინისტრის თანაშემწის ნერატოვის კაბინეთში ალელვებული შევარდა გარეშე საქმეთა სამინისტროში მოსამსახურე იაკიმანსკის წინააღმდეგობა [illegible] სივიის ნიშნები [illegible]

ათინა, 25 ივლ. მთავრობის და ვენიზელოსისტების ორგანოები ამტკიცებენ, რომ საბერძნეთი არამც თუ უარჰყოფს წინადადებას ტერიტორიის დათმობისას, არამედ ბულგარეთის სურვილებს თეორეტიულადაც ვერ დაუშვებენ. მაკედონიიდან დეპუტატები ჩამოვიდნენ რათა პროტესტი გამოეცხადებინათ ტერიტორიის დათმობის შესახებ.

ათინა, 25 ივლ. ოფიციალ წყაროებიდან იწყებიან, რომ მთავრობამ გადასწყვიტა ბულგარეთს არას გზით შეძენილ ტერიტორიიდან არა დაუთმოს რა.

პეკინი, 25 ივლ. ხელი მოაწერეს ჩინეთის საზღვაო ტამოჟნის შესახებ ცინდაოში.

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

თბილისიდან გადის:

თბილისიდან	8 ს.	13 წ.	დილ.
ნავთლუღ-ამიერ-კავ.	8 „	40 „	„
ნავთლუღ-კახეთ.	8 „	58 „	„
ვაზიანიდან	10 „	06 „	„
ივრიდან	21 „	15 „	„
საგარეჯოდან	11 „	58 „	„
ბადიაურიდან	12 „	56 „	„
ელაანიდან	2 ს.	16 წ.	საღ.
გურჯაანიდან	3 „	37 „	„
კარდენახიდან	4 „	12 „	„
წნორის-წყალზე	4 „	44 „	„

გურჯაანიდან-თელავამდე № 7.

გურჯაანიდან	3 ს.	42 წ.	საღ.
ვაჩნაძიანიდან	4 „	33 „	„
თელავში	5 „	27 „	„

თბილისისკენ მოდის:

წნორის-წყლიდან	8 ს.	58 წ.	დილ.
კარდანახიდან	9 „	41 „	„
გურჯაანიდან	10 „	24 „	„
მელაანიდან	11 „	39 „	„
ბადიაურიდან	12 „	59 „	დღ.
საგარეჯოდან	2 „	80 „	„
ივრიდან	2 „	50 „	„
ვაზიანიდან	3 „	55 „	„
ნავთლუღ-კახეთ.	4 „	58 „	„
ნავთლუღ-ამიერ-კავ.	5 „	13 „	„
თბილისში	5 „	28 „	„

თელავიდან-გურჯაანამდე № 8.

თელავიდან	8 ს.	54 წ.	დილ.
ვაჩნაძიანიდან	2 „	58 „	„
გურჯაანში	10 „	07 „	„

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3	ბაქოდან	12 ს.	54 წ.	დღ.
№ 4	ბათომიდან	5 ს.	55 წ.	საღ.
№ 5	ბაქოდან (სწრაფი)	7 ს.	41 წ.	საღ.
№ 10	ბათომიდან.	9 ს.	51 წ.	დილ.
	ჯულფიდან.	6 ს.	53 წ.	დილ.
	ბორჯომიდან	7 ს.	25 წ.	დილ
	„ სააგარ.	10 ს.	28 წ.	საღ.

თბილისიდან გადის:

№ 3	ბათომისკენ	1 ს.	45 წ.	დღ.
№ 4	ბაქოსკენ	7 ს.	3 წ.	საღ.
№ 6	ბაქოს (სწრაფი)	12 ს.	8 წ.	დღ.
№ 9	ბათომისკენ	8 ს.	53 წ.	საღ.
	ჯულფისკენ	10 ს.	23 წ.	საღ.
	ბორჯომისკენ	3 ს.	29 წ.	დღ.
	„ სააგარ.	8 ს.	28 წ.	დილ.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეძველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.
ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

მსწრაფ-მბეჭდავი სტამბა სპირიდონ ლოლაბერიძი'სა, მოსკოვის ქ. № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან.